ეკონომიკური
რეფორმა

საკანონმდებლო ცვლილებები

ივლისი, 2017

საკანონმდებლო ცვლილებების მიზანი

- ✓ ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია;
- ✓ მოგების გადასახადის დაბეგვრის რეჟიმის სრულყოფა;
- ✓ ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
- ✓ გადასახადის ადმინისტრირების და საბაჟო პროცედურების სრულყოფა;
- ✓ რედაქციული ცვლილებები.

დეკრიმინალიზაცია

დანაშაულად აღარ ჩაითვლება:

- სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა ან საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარი;

- სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული არააქციზური საქონლის მარკირების ნიშნის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა;

დეკრიმინალიზაცია

შეიცვალა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის დადგენილი თანხის ზღვრული ოდენობა,

კერძოდ:

- ✓ გადასახადი დიდ ოდენობად ჩაითვლება, თუ თანხა აღემატება 100 000 ლარს, ნაცვლად არსებული 50 000 ლარისა;

- ✓ გადასახადი განსაკუთრებით დიდ ოდენობად ჩაითვლება, თუ თანხა აღემატება150 000 ლარს, ნაცვლად არსებული 100 000 ლარისა.

მოგების გადასახადი

- ✓ საწარმო, რომელიც დამფუძნებელ საწარმოზე ანაწილებს 2008-2016 წლებში მიღებულ მოგებას, დაიბეგრება მისი განაწილებისას;
- ✓ ამ შემთხვევაში საწარმო ჩაითვლის 2017 წლის 1 იანვრამდე გადახდილ მოგების გადასახადს კანონით გათვალისწინებული ფორმულის მიხედვით და მოგება აღარ დაიბეგრება მისი ყოველი შემდგომი განაწილებისას;
- ✓ 2008-2016 წლებში მიღებული დივიდენდის შემდგომი განაწილება არ ჩაითვლება მოგების განაწილებად და შესაბამისად შემდგომ დაბეგვრას არ დაექვემდებარება;
- ✓ გაუქმდა საწარმოსთვის გადახდილი პროცენტის გადახდის წყაროსთან დაკავების ვალდებულება. შედეგად, ახალ რეჟიმზე მყოფი საწარმოს მოგება არც ერთ შემთხვევაში აღარ დაექვემდებარება განაწილებამდე დაბეგვრას.

მოგების გადასახადი

- ✓ საწარმოს მიერ პარტნიორისთვის დივიდენდის, აქციის/წილის საკუთრებაში გადაცემის ფორმით განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით;
- ✓ ცვლილების შესაბამისად გადაცემული წილის/აქციის ღირებულება არ განიხილება კაპიტალში შენატანად;
- ✓ მომავალში აღნიშნული ღირებულებით კაპიტალის შემცირების შემთხვევაში შემცირებული თანხა დაიბეგრება მოგების გადასახადით.

მოგების გადასახადი

- ✓ მოგების გადასახადით სესხის თანხის უზრუნველსაყოფად საბანკო ანგარიშზე განთავსებული თანხა დაიბეგრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის განთავსებულია საწარმოს პარნტნიორი ფიზიკური პირის ან არარეზიდენტის სესხის უზრუნველსაყოფად;

- ✓ მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის თანხის ოდენობა, ნაცვლად სესხის თანხისა, განისაზღვრება უზრუნველყოფის მიზნით საბანკო ანგარიშზე განთავსებული თანხის მოცულობით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადით არ დაიბეგრება:

- ✓ უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე ნებისმიერი ფორმით სავაჭროდ დაშვებული/განთავსებული არარეზიდენტი კომპანიის აქციების/წილის შესაძენად გადახდილი თანხა;
- ✓ უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე ნებისმიერი ფორმით სავაჭროდ დაშვებული/განთავსებული სასესხო ფასიანი ქაღალდის შესაძენად გადახდილი თანხა, გარდა შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნებისა.

საკანონმდებლო ცვლილებები

- ✓ 2 წლით გაიზარდა დაუსრულებელი მშენებლობებისათვის დაწესებული საგადასახადო შეღავათის გამოყენების ვადა. მშენებლობის დასრულების საბოლოო ვადად განისაზღვრება 2019 წლის 31 დეკემბერი. ზუსტდება აღნიშნული შეღავათის გამოყენების პირობები

- ✓ დღგ-სგან გათავისუფლდა შიდა საავიაციო რეისებისა და სამუშაოების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებლად განკუთვნილი საწვავის იმპორტი და მიწოდება, აგრეთვე საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის და საავიაციო სამუშაოების მომსახურება;

- ✓ დღგ-სგან გათავისუფლდა ჯართის მიწოდება.

საკანონმდებლო ცვლილებები

- ✓ დღგ-სგან გათავისუფლდა ფიზიკური პირისათვის (ძველი მფლობელისათვის) საცხოვრებელი სახლის და მასზე დამაგრებული მიწის მიწოდება, თუ მიმწოდებელმა დაისაკუთრა ქონება რომელიც სხვა პირის ვალის უზრუნველსაყოფად იპოთეკით იყო დატვირთული;

- ✓ საშემოსავლო გადასახადით არ დაიბეგრება მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელის მიერ წარმოებული ჭარბი ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიანტისათვის მიწოდებით მიღებული შემოსავალი.

საკანონმდებლო ცვლილებები

- ✓ პირს უფლება ექნება საგადასახადო ორგანოს დადასტურების გარეშე ჩამოწეროს დაუძლეველი ძალის ზემოქმედების შედეგად განადგურებული ან დაკარგული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები;
- ✓ გაიზარდა საგადასახადო დავალიანების თანხის ზღვარი 5000 - დან 50 000 ლარამდე, რომლის გადახდის 1 წლის ვადით გადავადებაც შესაძლებელი იქნება საგადასახადო ორგანოში უზრუნველყოფის წარდგენის გარეშე;
- ✓ საგადასახადო შეთანხმების გაფორმება შესაძლებელი გახდა გადაუხდელი მოსაკრებლის თანხების შემცირების მიზნით.
- ✓ საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლდა შესაბამისი კანონის თანახმად, საკუთრების უფლების აღიარების შედეგად წარმოშობილი სარგებელი.

საკანონმდებლო ცვლილებები

- ✓ აქციზისგან გათავისუფლდა მწარმოებლის მიერ დამკვეთის ნედლეულით ყურძნის ღვინის დისტილაციით მიღებული სპირტის წარმოება და დამკვეთისათვის გადაცემა;

- ✓ საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის შემაფერხებელი გარემოება აღარ იქნება არარეზიდენტისათვის და ფიზიკური პირისათვის აუნაზღაურებელი პროცენტების მიხედვით საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელისათვის თანხის დარიცხვა.

საკანონმდებლო ცვლილებები

- ✓ შეიცვალა აქციზის გადასახადის სტრუქტურა ალკოჰოლიან სასმელებზე (მათ, შორის ლუდზე). სპირტიანი სასმელების აქციზით დაბეგვრა განხორციელდება მასში ალკოჰოლის შემცველობიდან გამომდინარე;
- ✓ გამკაცრდა საგადასახადო ადმინისტრირება თამბაქოსთან და ალკოჰოლთან მიმართებაში, კერძოდ
- *იმპორტის გადასახდელებისაგან გათავისუფლება შეეხება ფიზიკური პირის მიერ შემოტანილ 200 ღერ სიგარეტს, ნაცვლად 400 ღერისა.*
- *ალკოჰოლიანი სასმელის ან თამბაქოს ნაწარმის იმპორტის შემთხვევაში, შეღავათით ისარგებლებს ფიზიკურ პირი 18 წლის ასაკიდან.*

გადასახადის ადმინისტრირება

- ✓ დაზუსტდა უიმედო ვალის ჩამოწერისათვის სავალდებულო დოკუმენტების ნუსხა. არსებულ დოკუმენტებს ემატება:
  - არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
  - კერძო აღმასრულებლის მიერ გაცემული ცნობა.
- ✓ საგადასახადო აგენტს გადასახადის წყაროსთან დაკავების ვალდებულება არ ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის თანხას უნაზღაურებს ინდივიდუალურ მეწარმეს;
- ✓ ფიზიკური პირის მიერ ცალკეული საქონლის მიწოდებით მიღებული შემოსავალი დაიბეგრება გადახდის წყაროსთან 15 პროცენტიანი განაკვეთით. ამ კატეგორიის საქონლის ნუსხა განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

გადასახადის ადმინისტრირება

- ✓ საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა გაშვებულად არ ჩაითვლება, თუ ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე შესაბამისი დოკუმენტი განთავსდება გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე;

- ✓ დაზუსტდა ზარალის გადატანისას საგადასახადო შემოწმების, გადასახადის დარიცხვისა და მოთხოვნის წადგენის ხანდაზმულობის ვადები.

სანქციების ლიბერალიზაცია

- ✓ შემცირდა ჯარიმის ოდენობა საბაჟო საწყობის მიერ სანებართვო პირობების დარღვევისათვის და 4000 ლარის ნაცვლად განისაზღვრება 2000 ლარით;
- ✓ შემცირდა ჯარიმის ოდენობა, საბაჟო ზედამხედველობიდან უკანონოდ განკარგულ საქონელზე, თუ პირს გააჩნია ამ საქონელზე მიწოდების პირველადი საგადასახადო დოკუმენტი ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება იმავე/იდენტური/მსგავსი საქონლის საბაჟო ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით, ნაცვლად 100 პროცენტისა;
- ✓ ზოგიერთი საბაჟო სამართალდარღვისათვის შესაძლებელი სანქციის ზომად გახდა გაფრთხილების გამოყენება;
- ✓ შემცირდა სპეციალურ სავაჭრო კომპანიის მიერ საქმიანობის წესის დარღვევისთვის გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა და გადამეტებული თანხის 50 პროცენტის ოდენობის ნაცვლად განისაზღვრება გადამეტებული თანხის 10% -ით.